# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2610 2015 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2015 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 თებერვლის №100 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2015 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 თებერვლის №100 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

## საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

ცხრილი N2

| შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება | რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე | სულ თანამდებობრივი სარგო თვეში | | სულ შრომის ანაზღაურება წლიური* |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ საბაზისო თანამდებობრივი სარგო თვეში | კატეგორიის სარგო თვეში | |
| **სულ** | **116** | | **267,400.0** | **60,458.3** | 4,642,560 |
| აღმასრულებელი დირექტორი | 1 | 6,000.0 | **6,000.0** | **60,458.3** | |
| აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე | 1 | 5,500.0 | **5,500.0** | | |
| აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე | 2 | 5,450.0 | **10,900.0** | | |
| სამსახურის უფროსი | 10 | 4,000.0 | **40,000.0** | | |
| სამსახურის უფროსი** | 1 | 4,000.0 | **4,000.0** | | |
| სამსახურის უფროსის მოადგილე*** | 2 | 3,500.0 | **7,000.0** | | |
| სპეციალისტი | 95 | 2,000.0 | **190,000.0** | | |
| დამხმარე სპეციალისტი **** | 4 | 1,000.0 | **4,000.0** | | |

**შენიშვნა**: 1. *სულ შრომის ანაზღაურება წლიური მოიცავს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას, ასევე სსიპ-ის საკუთარი შემოსავლებიდან გაწეულ ხარჯებს. 2. სულ თანამდებობრივი სარგო თვეში მოიცავს 5 კატეგორიას: I კატეგორიის ყოველთვიური სარგო შეადგენს საბაზისო თანამდებობრივ სარგოს; II კატეგორიაზე ყოველთვიური სარგო შეადგენს საბაზისო თანამდებობრივი სარგოს (I კატეგორიის) 125%-ს; III კატეგორიაზე, შესაბამისად - 150%-ს; IV კატეგორიაზე, შესაბამისად - 200%-ს; ხოლო V კატეგორიაზე თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო.

2. ** სამსახურის უფროსის ერთი საშტატო ერთეული გაუქმდა 2015 წლის 1 თებერვლიდან.
   სამსახურის უფროსის ერთი საშტატო ერთეული დაემატება 2015 წლის 1 დეკემბრიდან;
3. *** 2015 წლის 1 თებერვლიდან დაემატა სამსახურის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული;
   2015 წლის 1 დეკემბრიდან სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული შეიცვლება სამსახურის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეულით.
4. **** სპეციალისტის ორი საშტატო ერთეული 2015 წლის 1 დეკემბრიდან გაიყოფა 4 ერთეული დამხმარე სპეციალისტის საშტატო ერთეულად. ასევე, მათზე გადანაწილდება ორი ერთეული სპეციალისტის სახელფასო ფონდი, რაც სახელფასო ფონდის გაზრდას არ გამოიწვევს.